

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №5**

ქ. თბილისი

06.06.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)  
წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი  
დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში -  
თავმჯდომარე)

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის  
წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის  
საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების  
მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;  
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგის მასწავლებელი;  
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;

ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)  
წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;

ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს  
კოორდინატორი;

თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს  
კოორდინატორი;

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**ნინო მურვანიძე** - შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლა გორდას დირექტორი;

**შალვა ბერიკაშვილი** - შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლა გორდას დირექტორის მოადგილე, სასწავლო დარგის მენეჯერი;

**თამარ მურვანიძე** - შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლა გორდას ხარისხის მართვის მენეჯერი;

**საფეხთ ბაირაქტუან** - შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დირექტორი;

**ნინო მირიანშვილი** - შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილე;

**ლიკა ღლონტი** - ა(ა)იპ გერმანული სკოლის დაფუძნების და მხარდაჭერის კავშირის გამგეობის წევრი;

**ბარბარა ვატენდორფი** - ა(ა)იპ გერმანული სკოლის დაფუძნების და მხარდაჭერის კავშირის გამგეობის წევრი;

**ნორბერტ კაპდერი** - ა(ა)იპ გერმანული სკოლის დაფუძნების და მხარდაჭერის კავშირის დირექტორი;

**გიორგი ხუბულური** - ა(ა)იპ გერმანული სკოლის დაფუძნების და მხარდაჭერის კავშირის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):**

დავით ჭეიშვილი;

ნინო ბალანჩივაძე;

ნინო ფეტვიაშვილი;

მარიამ ხუციშვილი;

ლიანა კობესაშვილი;

ნოდარ ანგურიძე;

საბჭოს სხდომა 14:27 საათზე დაიწყო.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ორტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

- შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
- ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ცენტრში 2016 წლის 1 ივნისის №596392 კორესპონდენციით შემოსული იყო შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარის“ შუამდგომლობა, რომლითაც დაწესებულება ითხოვდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 31 ივლისის №224 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილებით დაწესებულებას მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 115-ით. ამჟამად დაწესებულება ითხოვდა იგივე კონტინგენტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 40-მდე შემცირებას და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის გაზრდას. ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს სთხოვა აღნიშნული საკითხის დამატება დღის წესრიგისათვის.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა სხდომის ახალი დღის წესრიგი:

- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 31 ივლისის №224 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
- ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 31 ივლისის №224 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ლაშა მარგიშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 6 სექტემბრის №224 გადაწყვეტილებით. იმავე საბჭოს 2012 წლის 31 ივლისის №224 გადაწყვეტილებით დაწესებულებას მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 115-ით. ამჟამად დაწესებულება ითხოვდა იგივე კონტიგენტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 40-მდე შემცირებას და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის გაზრდას.

საბჭოს თავჯდომარემ კითხვით მიმართა ლაშა მარგიშვილს, ჰქონდა თუ არა ადგილი ფართის ცვლილებას, კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნას ან რაიმე სხვა ტიპის ღონისძიებას, რომლის დროსაც საჭრო იყო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ცვლილება სურდა უკვე არსებული კონტიგენტის ფარგლებში.

საბჭოს თამჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 31 ივლისის №224 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის წლის 31 ივლისის №224 გადაწყვეტილების მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარს“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 40-ით“.

2. შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დავით ჭეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ არსებით ხარვეზები დაფიქსირებული არ იყო და დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს. მან ასევე დაამატა, რომ ექსპერტებს რეკომენდაციები ჰქონდათ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარმოებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ქეთევან ჭკუასელმა იკითხა, რა ტიპის რეკომენდაციებზე იყო საუბარი, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმდომარემ განმარტა, რომ სასურველი იყო დაწესებულებას ეწარმოებინა ანალიტიკური ხასიათის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და დავალების შინაარსიდან განსაზღვრულიყო შესაბამისი სტანდარტის ის შედეგები, რომლის მიღწევასაც ემსახურებოდა აღნიშნული სამუშაო. მან ასევე დაამატა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ზეპირი რეკომენდაციებიც გაუწია დაწესებულების წარმომადგენლებს.

ქეთევან ჭკუასელი დაინტერესდა რატომ ფიგურირებდა დაწესებულების სახელწოდებაში სიტყვა „ელიტარული“. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, სკოლა მრავალი წლის წინ დაარსდა, მაშინ როდესაც თანამედროვე სწავლების მეთოდებითა და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით ბევრი სკოლა არ გამოირჩეოდა. შესაბამისად, მათ ორგანიზაციას ეს გამოარჩევდა სხვა დაწესებულებებისაგან. ეს იყო ერთადერთი მიზეზი სკოლის დასახელებაში ამ სიტყვის არსებობისა. მან ასევე დაამატა, რომ მოსწავლეები განსაკუთრებული მიღწევებით გამოირჩეოდნენ, რასაც ადასტურებდა მათი შედეგები საგნობრივ ოლიმპიადებში.

დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების რესურსი იძლეოდა საშუალებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განსაზღვრულიყო 435-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 435-ით განსაზღვრის საკითხი.



კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8  
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიან საერო ელიტარულ საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245439020) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 435-ით.



### 3. შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფლი ნაწილი.

სკოლას წარმომადგენდნენ დირექტორი საფუეთ ბაირაქთუთანი და დირექტორის მოადგილე, ნინო მირიანაშვილი. დირექტორმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო სკოლა ინგლისურ ენაზე ახორციელებდა სწავლებას, 2011 წელს მიიღეს უფლება, ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით განეხორციელებინათ საქმიანობა, ორჯერ მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა სკოლაში და იმ დღეს ეწურებოდათ ავტორიზაციის ვადა. მან განაცხადა, რომ აწარმოებდნენ მოლაპარაკებას სამინისტროსთან კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რადგან საერთაშორისო სკოლებს ექმნებოდათ გარკვეული სახის პრობლემები. საფუეთ ბაირაქთუთანმა დაამატა, რომ მინისტრის მოადგილის, ლია გიგაურის წერილობითი პასუხით დასტურდებოდა, რომ აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა მიმდინარეობდა. წერილი მოწერილი იყო 1 წლის წინ, მართალია, დღევანდელი მდგომარეობით, არანაირი ცვლილება ჯერ არ იყო შეტანილი კანონში, თუმცა სკოლის დირექტორი იმედს გამოთქვამდა, რომ ახალი მინისტრი დაიწყებდა ამ საკითხზე მუშაობას. მანამდე კი, საბჭოს მიმართ ჰქონდა თხოვნა, მიეცათ უფლება, სკოლას გაეგრძელებინა ჩვეულ რეჟიმში საქმიანობის უფლება.

თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, წარმოედგინათ ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ფეტვაშვილმა და მარიამ ხუციშვილმა წარადგინეს. მათ აღნიშნეს, რომ მატერიალურ ნაწილში ექსპერტებს შენიშვნა არ ჰქონიათ და წარმომადგინეს პროგრამულ და ადამიანურ რესურსთან მიმართებით არსებული შეუსაბამობები:

პროგრამულ ნაწილთან მიმართებით:

შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლამ წარმომადგინა 2015-2016 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2015 წლის 7 სექტემბერს პედიატრიული N1. სასკოლო სასწავლო გეგმა, მისი შინაარსი და წარმოდგენილი პროგრამები თავსებადია დაწესებულების მისიასთან, რაც დასტურდება გეგმაში ასახული კონკრეტული აქტივობებით, სასწავლო პროგრამებით, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეუსაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და არ არის თავსებადი საქართველოს კანონთან ზოგადი განათლების შესახებ (ირღვევა მუხლი 4. სწავლების ენა 1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული ან აფხაზური).

შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ და თურქულ ენებზე. მოსწავლეთა კონტინგენტი მრავალფეროვანია. მათი უმრავლესობა ეთნიკური თურქია. სკოლაში სწავლობს 240-მდე მოსწავლე, აქედან 80% უცხოელია. სკოლამ მიიღო კემბრიჯის საერთაშორისო სკოლის რეგისტრაცია. სკოლის



კურსდამთავრებულები იღებენ მხოლოდ ნიკოლოზ წერეთლის საერთაშორისო სკოლის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ვერ იღებენ სკოლის ატესტატს, რადგანაც სკოლა ინგლისურენოვანია, მოსწავლეები ვერ ფლობენ ქართულ ენას და ვერ აბარებენ CAT-ის გამოცდებს. სკოლის დირექტორს ჰქონდა მიმოწერა სამინისტროსთან და გამოცდების ეთქვა საატესტატო გამოცდის ჩატარებაზე კურსდამთავრებულთათვის სხვა ენებზე, N48/ნ „პირობების“ მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას (სამინისტროში გაგზავნილ წერილების თანახმადაც) მან განაცხადა, რომ საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით სკოლას შეუძლია განახორციელოს უცხოენოვანი პროგრამებით სწავლება. კანონში ვკითხულობთ „4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა..“ დირექტორმა წარმოადგინა საქართველოსა და თურქეთის განათლების სამინისტროებს შორის არსებული შეთანხმების ოქმი, რომელიც დაიდო 1996 წლის 7 ნოემბერს და, მისი ახსნით, მოიაზრებს ყოველგვარ ხელშეწყობას განათლების სფეროში ორ ქვეყანას შორის. თუმცა პასუხად მიღებულ 2013 წლის 19 ნოემბრის წერილში, რომელსაც ხელს აწერს მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, ვკითხულობთ „ თქვენს მიერ ნახსენები საქართველოსა და თურქეთის განათლების სამინისტროებს შორის 1996 წლის 7 ნოემბერს დადებული შეთანხმების ოქმითაც არ არის გათვალისწინებული რაიმე ტიპის გამონაკლისი სრული ზოგადი განათლების ატესტატის მიღებასთან დაკავშირებით“. ინგლისურის გარდა სკოლაში არსებობს თურქულენოვანი კლასები. თურქული კლასებში, დირექტორის ახსნა-განმარტებით, სწავლა მიღევად რეჟიმში მიმდინარეობს მე-7 კლასამდე), რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა 2016 წლის 20 იანვრის ბრძანება N393. რაც შეეხება ესგ-თან თანხვედრას სწავლების ენის გარდა გამოიკვეთა შემდეგი შეუსაბამობები:

- სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის საათობრივი ბადე, რომელიც მოიცავს I - XII კლასის გაკვეთილების საათობრივ გადანაწილებას. აგრეთვე წარმოდგენილია გაკვეთილების ცხრილი პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით (ინგლისური და თურქული სექტორები); ბადეში არ არის გათვალისწინებული არჩევითი საგნები ესგ-ს მოთხოვნების თანახმად;
- სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც აღწერილია სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებები, დამრიგებელთა მოვალეობები და მირითადი მიმართულებები, თუმცა არ არის გათვალისწინებული მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ბ.გ) მეწარმეობის უნარების განვითარება, რომელიც დაემატა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 7 სექტემბერის ბრძანების №118/ნ თანახმად. ამას გარდა სკოლის მიერ წარმოდგენილ სადამრიგებლო გეგმებში არ ჩანს, რა ღონისძიებებია დაგეგმილი კლასების მიხედვით ესგ-ით გათვალისწინებული მიმართულებების განსახორციელებლად.
- სახელმძღვანელოების ჩამონათვალში მითითებულია როგორც ქართულენოვანი (გრიფირებული), ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რომლის შინაარსისა და ესგ-ს შინაარსის შესაბამისობის დადგენა შეუძლებელია ვიზიტის ფარგლებში.



შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებას არ წარმოუდგენია. გრიფირებული სახელმძღვანელოები გამოყენებულია საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, ინგლისურში (მე-7, მე-8 და მე-12 კლასებში), რუსულ ენაში, რომელიც ისწავლება 2 წელი; ქართული, როგორც მეორე ენის სწავლებისას. დანარჩენი სასწავლო კურსები ისწავლება ინგლისურენოვანი და თურქული სახელმძღვანელოებით;

დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესით სწავლების უფლების შესახებ (2011 წელი 6 ივნისი, წერილი N 12-1-20/6580). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის კონკრეტული საკითხები, რომელზეც სკოლას სამინისტრომ ნებართვა მისცა 2011 წელს, უკვე აღარ არის აქტუალური და, ფაქტობრივად, აღარც ხორციელდება. ზემოთ აღნიშნული საკითხები კი დაემატა 2011 წლის შემდეგ.

## 1.2 სკოლაში სწავლა მიმდინარეობს სამივე საფეხურზე:

დაწყებითი(I-VI კლასები);

საბაზო( VII-IX კლასები);

საშუალო( X-XII კლასები).

სკოლაში ფუნქციონირებს კათედრები, რომლებიც აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში ყველა მასწავლებელს.

სკოლას შემუშავებული აქვს კათედრების მოვალეობები, სამოქმედო გეგმები და პროგრამები საგნებისა და საფეხურების მიხედვით. წარმოადგინეს შეხვედრების გრაფიკი და ოქმები. მასწავლებლებს აქვთ საქაღალდეები (პორტფოლიოები), სადაც ინახება თემატური გეგმები (სილაბუსები) საგნებისა და საფეხურების მიხედვით და სხვა სამუშაო დოკუმენტი. სწავლება ხორციელდება კვემზრიჯის პროგრამებით. სკოლის მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოები გამოწერილია ინგლისიდან (გრიფირებულების გარდა). მასწავლებლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის გადამოწმებისას ესგ-თან თანხვედრა და შესაბამისი შედეგების მიღწევა არ არის შესაძლებელი. გასათვალისწინებელია სახელმძღვანელოებისა და მოთხოვნების განსხვავება. ამას გარდა, გასაუბრებებმა აჩვენა, რომ, მაგალითად, ქართულის როგორც მეორე ენის სწავლება ხდება სპონტანურად, მასწავლებლები არ იცნობენ სტანდარტს. საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფიას სწავლობენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ შესაბამისი ქართულის ცოდნა, დანარჩენი მოსწავლეები ამ დროს სწავლობენ ქართულ ენას. ეს დასტურდება უურნალების ჩანაწერებით. მაგალითად მე-11 კლასის უურნალში ამ საგნებში ფასდება მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე.

აქედან გამომდინარე და 1.1. სტანდარტის გათვალისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმა სრულად ვერ პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, რაც არ იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენისა და განვითარების საშუალებას. (იხ. 1.1.)

1.4 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი, ორივე ტიპის შეფასება:

განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მოსწავლეებს და მათ მშობლებს რეგულარულად მიეწოდებათ კომენტარები და ინფორმაცია კლასში მათი ფუნქციონირებისა და აკადემიური პროგრესის შესახებ. თუმცა დოკუმენტების გადამოწმებისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ

პორტფოლიოებში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები ზოგადია. საკლასო ჟურნალის თანახმად სპორტი ფასდება ქულებით (დანართი N 4).

მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ შეფასების კრიტერიუმებს მათ აწოდებთ სკოლა და კრიტერიუმების შემუშავებაში თვითონ არ იღებენ მონაწილეობას. მე-11 კლასის ჟურნალში შეტანილია 100 ბალიანი სისტემის შესაბამისი ქულები. დაწყებითი საფეხურის (1-4 კლასების) მშობლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი შვილების ქულებს სმს-ის საშუალებით იღებენ. ირლვევა 1.4.პუნქტი - ესგთან სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემის შესაბამისობა.

1.6 სკოლას არ აქვს შემუშავებული ერთიანი დოკუმენტი, სადაც სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმია გაწერილი, თუმცა სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით წლის განმავლობაში ხორციელდება რიგი ღონისძიებები. მასწავლებლები აჯამებენ სამუშაოს კონკრეტული საგნების დონეზე, სადაც აანალიზებენ მოსწავლეთა მოსწრებას, შემაჯამებელი დავალებების ანგარიშებს, მოსწავლეთა მიერ შევსებულ თვითშეფასების კითხვარებს და სხვ. ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დეპარტამენტები შეიმუშავებენ წინადადებებს სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მიმართულებით. აკადემიურ კომიტეტზე განხილვის შემდეგ ეს წინადადებები წარედგინება პედაგოგის და აისახება შემდეგი აკადემიური წლის სასწავლო გეგმაში.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.2 სკოლის მასწავლებლების უმრავლესობას აქვს საგნის სწავლების შესაბამისი განათლება. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ დაქირავებულ 14 პედაგოგს (ნერიმან ებრარ მუშ, გარეტ ბასს, სარა ელიზაბეტ სლაი, იბრაჰიმ ქარაგოზ, მუზაფფიერ უჩარ, სელმა ოზდეშ, ალი ქაიქიოლლუ, ჰუსეინ დემირ, სერკათ ჩალთუქინ, აჰმედ ჩაქირ, ჰაქან მუშ, მუსა ინჯი, ჰალილ ქილჩიქ, იასემინ ოქსუზ, მეჰთაფ ჩექინ) უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომების შესაბამისი წესით აღიარება არ აქვთ წარმოდგენილი.

აღნიშნული პედაგოგებიდან:

1. იბრაჰიმ ქარაგოზს აქვს დაწყებითი კლასის მასწავლებლის სპეციალობა და ასწავლის დაწყებით კლასებს და თურქულ ენას;
2. სარა ელიზაბეტ სლაის აქვს რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა (დოკუმენტი არ არის თარგმნილი სახელმწიფო ენაზე) და ასწავლის ინგლისურ ენას;
3. გარეტ ბასს არ აქვს წარმოდგენილი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი -ასწავლის ინგლისურ ენას;
4. ნერიმან ებრარ მუშს აქვს ბაგა-მაღის მასწავლებლის სპეციალობა და ასწავლის დაწყებით კლასებს.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ინგლისურ და თურქულ ენებზე, თურქული კლასები მიღევად რეჟიმში ფუნქციონირებდნენ, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით ჯერ კიდევ ახორციელებდნენ თურქულ ენაზე სწავლებას. მოსწავლეთა 80% უცხოენოვანი მოსწავლეები იყვნენ და ვერც მოახერხდნენ ქართულ ენაზე სწავლებას, ხოლო ისინი, ვინც საქართველოს მოქალაქეების წარმოადგენდნენ, რამდენიმე საგანს - ქართულ ენასა და ლიტერატურას, გეოგრაფიას, საქართველოს ისტორიასა და სამოქალაქო განათლებას ქართულ ენაზე სწავლობდნენ.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა ფიზიკურად როგორ ხდებოდა მოსწავლეების განაწილება. ექსპერტმა უპასუხა, რომ მოსწავლეების თქმით, ვინც ქართული იცოდა, ისინი შედიოდნენ ქართულენოვან გაკვეთილებზე.

რევაზ აფხაზავამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, თუ რა იყო მათთვის მოტივაცია, ჰქონდათ ავტორიზაცია საქართველოში, როდესაც მოსწავლეები არ გადიოდნენ საატესტატო გამოცდებზე და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დოკუმენტს არ იღებდნენ.

საფეხო ბაირაქთუთანმა უპასუხა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდებოდათ ავტორიზაცია.

რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, რატომ წარმოადგენდა აუცილებლობას ამ სკოლისთვის ავტორიზებულ რეჟიმში საქმიანობა, როდესაც არც ესგ-ს ერგებოდა, არც საატესტატო გამოცდაზე გადიოდნენ მოსწავლეები და არც ვაუჩერი იყო გადამწყვეტი ფაქტორი.

სკოლის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მათ სურდათ გაეკრძელებინათ საქმიანობა ისევ იმ პირობებით, სანამ გადაწყდებოდა საერთაშორისო სკოლების პრობლემა. ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ არც სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა ჰქონდა სკოლას.

სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ არსებობდა 1996 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოიაზრებდა ორ ქვეყანას შორის (საქართველო და თურქეთი) ურთიერთობას.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ შენიშვნებზე დირექტორმა უპასუხა, რომ აღნიშული 4 მასწავლებელი იყვნენ ის ადამიანები, ვისთვისაც ინგლისური ენა შშობლიური იყო, ამიტომაც ასწავლიდნენ ინგლისურ ენას.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ შეუსაბამობა ფიქსირდებოდა კანონთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, სკოლა ხელმძღვანელობდა კემბრიჯის პროგრამით, თუმცა პროგრამა თვითონ მალიან კარგი იყო, უბრალოდ არ გადიოდა ესგ-ს მოთხოვნებზე. ექსპერტმა დაამატა, რომ 2015 წლის აპრილში განხორციელდა მონიტორინგი და შენიშვნები, რაც იმ დროს მისცეს ექსპერტებმა, სკოლას უკვე გამოსწორებული ჰქონდათ. მან აღნიშნა, რომ ქართული ისტავლებოდა როგორც მეორე ენა, თუმცა ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ მასწავლებლები დადგენილ სტანდარტს ნაკლებად იცნობდნენ.

სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით განმარტა, რომ გამოყენებული იყო ქართული გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა ძირითადი ნაწილი კემბრიჯის პროგრამის შესაბამისი იყო და ასევე, ჰქონდათ თურქულენოვანი ლიტერატურა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ნებართვა თუ ჰქონდა სკოლას განსხვავებული წესით სწავლებაზე. ექსპერტმა უპასუხა, რომ ნებართვა გაცემული იყო 2011 წელს, თუმცა რაც იგულისხმებოდა განსხვავებული წესით სწავლებაზე, დღეს ის საკითხები აქტუალური აღარ იყო.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ ნებართვა ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნებოდა კანონზე უზენაესი, ვერცერთი მინისტრის წერილი ვერ გადაფარავდა კანონის მოთხოვნას.

რევაზ აფხაზავამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო სკოლის ინტერესი, მიეღო ავტორიზაცია, როდესაც სწავლება ქართულ ენაზე არ მიმდინარეობდა, დარღვეული იყო სტანდარტები და არ სჭირდებოდათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტის გაცემა.

სკოლის დირექტორმა, საფეხო ბაირაქთუთანმა აღნიშნა, რომ საქართველოში საქმიანობდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, დიპლომატიური თუ ბიზნეს

ურთიერთობების მიზნით, შესაბამისად, მათ შვილებს სჭირდებოდათ სკოლა, სადაც ივლიდნენ ის პერიოდი, სანამ მათი მშობლები საქართველოში მუშაობდნენ. მისი თქმით, კანონი იყო დასახვეწი, რადგან ეს საკითხი პრობლემას უქმნიდა ბავშვებს, არ შეეწყვიტათ სწავლა.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა აკრედიტებული თუ იყო მათი პროგრამა, სკოლის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ისინი ასწავლიდნენ კემბრიჯის პროგრამით, რომელიც აკრედიტებული იყო ლონდონში.

ექსპერტმა, ნინო ფეტივაშვილმა აღნიშნა, რომ კემბრიჯის სერტიფიკატს გასცემდნენ, რის საფუძველზეც, მოსწავლეები თავისუფლად აგრძელებდნენ სწავლას საზღვარგარეთ არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ პრობლემას წარმოადგენდა კანონი და საჭირო იყო მისი დახვეწა, რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ უნდა შექმნოდათ განათლების პრობლემა.

ირინა ხანთაძემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ავტორიზაციის მისაღებად აუცილებელი იყო საქართველოს არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სკოლის დირექტორმა მიუგო, რომ სამინისტროც აღიარებდა საერთაშორისო სკოლების პრობლემას და მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნულ საკითხზე.

ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ ჯერჯერობით არ იყო პრობლემა გადაწყვეტილი და საბჭო არ იყო უფლებამოსილი, შეეტანა ცვლილება ან დაეშვა გამონაკლისი.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ სკოლის დირექტორს განუმარტა, რომ სკოლას შეეძლო ავტორიზაციის გარეშე ემუშავა, რადგან არ გასცემდა ატესტატს და არ სჭირდებოდა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დოკუმენტს.

სკოლის დირექტორი დაინტერესდა, თუ იყო შესაძლებელი დროებით მუშაობის უფლება მიენიჭა საბჭოს სკოლისთვის. საბჭოს წევრებმა განუმარტეს, რომ კანონმდებლობა ასეთ შემთხვევას არ ითვალისწინებდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში. სკოლის დირექტორმა მიუგო, რომ სკოლას 240 მოსწავლე ჰყავდა. მან დაამატა, რომ მან იურისტებთან გაიარა კონსულტაცია და მათ დაუდასტურეს, რომ ავტორიზაცია აუცილებელი იყო სკოლის ფუნქციონირებისთვის, გარდა ამისა, მოსწავლეები, რომლებიც 2-3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ საქართველოში და შემდეგ ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყნებში, მათ სჭირდებოდათ შესაბამისი აღიარებული დოკუმენტი, რითაც დაასაბუთებდა განათლების მიღებას, სწორედ ამისთვის იყო საჭირო ავტორიზაციის გავლა.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კანონს ვერ შეცვლიდნენ, ისინი ადგენდნენ სტანდარტებთან შესაბამისობას, და თუ სკოლა ვერ თავსდებოდა დადგენილ ჩარჩოებში, სამწუხაროდ, ვერ დაუშვებდნენ გამონაკლისს.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა საფუძვლიანი მიზეზები - ერთი მხრივ ის ფაქტი, რომ თურქეთი და საქართველო მეზობელ ქვეყნებს წარმოადგენდნენ და გაფორმებული იყო ურთიერთთანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის, მეორე მხრივ კი ერთხელ უკვე მიღებული ავტორიზაცია, რაც, მისი მოსაზრებით იმ საბჭოს შეურაცხყოფა გამოდიოდა, ვინც პირველად მიანიჭა სკოლას ავტორიზაცია.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ ბევრი თურქული სკოლისთვის ჰქონდა საბჭოს მიცემული ავტორიზაცია და აქ ქვეყნებს შორის მეგობრობის საკითხი არ იდგა, თუ სურვილი ჰქონდათ მიეღოთ სახელმწიფოს აღიარება, სკოლას უნდა დაეცვა პირობები.



15:10 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 15:30 საათზე. თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0;

წინააღმდეგი - 8;

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლას (ს/კ: 200266407) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ არგუმენტებს წარმოადგენდა შეუსაბამობები სტანდარტებთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, როგორც პროგრამულ ასევე ადამიანურ ნაწილში, რაც დასტურდებოდა ექსპერტთა დასკვნით.

ირინა ხანთაძემ ასევე აღნიშნა, რომ პარალელურად სკოლის წარმომადგენლებს შეეძლოთ გაეგრძელებინათ მუშაობა საერთაშორისო სკოლებისთვის ნორმატიული რეგულაციების შექმნის კუთხით. თუ სკოლას სურდა ავტორიზაციის მოპოვება, სკოლის წარმომადგენლებს მოუწოდა, ემუშავათ ამ მიმართულებით, მოეყვანათ საქმიანობა დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ მოსწავლეთა შედეგების აღიარების მხრივ, კარგი იქნებოდა, სკოლას კემბრიჯის საერთაშორისო აკრედიტაცია უფრო ეფექტურად გამოეყენებინათ.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ დაამატა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ბავშვებისთვის არსებობდა სხვა ავტორიზებული სკოლებიც, ასე რომ, მისი თქმით, განათლების მიღების საშუალება არსებობდა საქართველოში ასეთი მოსწავლეებისთვისაც.

სკოლის დირექტორმა, საფფეთ ბაირაქტუთანმა განაცხადა, რომ იმ 240 მოსწავლეს შეექმნებოდა პრობლემა სხვა სკოლებშიც, რომლებიც ამჟამად ირიცხებოდა სკოლაში.

საბჭოს წევრებმა მოუწოდეს დირექტორს, გაეგრძელებინა მუშაობა ავტორიზაციის გარეშე, ან მოეყვანა საქმიანობა შესაბამისობაში დადგენილ სტანდარტებთან.

სკოლის დირექტორმა დაამატა, რომ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით შენიშვნაც გათვალისწინებული იყო და ცენტრში შეტანილი იყო პერსონალის კვალიფიკაციის აღიარების შესახებ განცხადებები. ასევე, სკოლა მაქსიმალურად ცდილობდა ესწავლებინა ქართულ ენაზეც გარკვეული საგნები. საფფეთ ბაირაქტუთანმა განაცხადა, რომ მათ ამ პროგრამით მიიღეს ავტორიზაცია 5 წლის წინ, მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციებიც სრულად გაითვალისწინეს, შეინარჩუნეს ძველი პირობებიც და გააუმჯობესეს ხარისხი ამ პერიოდის განმავლობაში. ახლა კი, მისი თქმით, ძველი საბჭოს გადაწყვეტილების სისწორე დადგა ეჭვევშ.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ საბჭო არ განიხილავდა ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას ავტორიზაციის ჭრილში, ექსპერტები ამოწმებდნენ სტანდარტებთან შესაბამისობას და არ იყო რელევანტური იმის განხილვა, თუ 5 წლის წინ რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, რომ მისცეს მოსაზრების გამოთქმის საშუალება და აღნიშნა, რომ მისი თხოვნა იყო, სანამ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სამინისტროსთან, მიეცათ საშუალება, გაეგრძელებინათ საქმიანობა ავტორიზებულ რეჟიმში.

საბჭოს წევრებმა იმედი გამოთქვეს, რომ მოლაპარაკებები მალე დასრულდებოდა, თუმცა საბჭოს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

**4. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სკოლას საბჭოს სხდომაზე წარმოადგენდა სკოლის დირექტორი ნორბერტ ვაბლერი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ხუბულური და გამგეობის წევრები ბარბარა ვატენდორფი და ლია ღლონტი.

თავმჯდომარემ სხდომაზე განაცხადა, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდათ სკოლასთან შეხვედრა რამდენიმე თვის წინ და სკოლის გამგეობის წევრს, ლია ღლონტს, როგორც სპიკერს, სკოლის წარდგენა სთხოვეს.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა 2010 წელს დაარსდა, გერმანიაში მოქმედი პროგრამის შესაბამისად. სკოლის დაფუძნება არ წარმოადგენდა კერძო ინიციატივას, არამედ სკოლა გერმანული სამთავრობო სკოლების ქსელის ნაწილი იყო, რომელიც მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში 141 სკოლას აერთიანებდა და რომლის მთავარი ამოცანა ამა თუ იმ ქვეყანაში გერმანიისა და გერმანულენოვანი მოქალაქეების მომსახურება იყო. თბილისში არსებული სკოლა ინტერკულტურული სკოლის კონცეფციას იზიარებდა, რომელიც არა მხოლოდ გერმანიის და გერმანულენოვანი მოქალაქეების მომსახურებას გულისხმობდა. დღევანდელი მონაცემებით, სკოლის მოსწავლეთა 40% გერმანიის მოქალაქე იყო.

ლია ღლონტის განცხადებით, არსებობდა სამთავრობო შეთანხმება, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ იყო ხელმოწერილი და კერძოდ ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ფუნქციონირებას ეხებოდა და სკოლაში განსხვავებული კურიკულუმით სწავლების საშუალებას იძლეოდა. საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, ლია ღლონტმა განაცხადა, რომ დოკუმენტი 2011 წლიდან იყო ძალაში და უვადო იყო.

ლია ღლონტის თქმით, გარდა აღნიშნული დოკუმენტისა, მისსავე საფუძველზე, სკოლას ჰქონდა მიღებული განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის წერილი, რომელიც ადასტურებდა სკოლის ზემოაღნიშნულ უფლებას. აქვე, აღნიშნა, რომ ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლაშა მარგიშვილის მოთხოვნით, სკოლამ



ითხოვა აღნიშნული წერილის განახლება, თუმცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ცვლილების პირობებში, წერილი ექსპერტიზისთვის ცენტრში გადმოიგზიავნა.

სკოლის წარმომადგენელმა სკოლის მიერ ავტორიზებულის სტატუსის მოპოვების მოტივაციის მთავარ არგუმენტად განაცხადა, რომ სკოლას არ სურდა მოსწავლეთა 60%-სთვის, რომლებიც არ იყვნენ გერმანიის მოქალაქეები, მათი სურვილის შემთხვევაში, დაეკარგათ მობილობის ან საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების შანსი. მისივე თქმით, სკოლას ჰქონდა შემთხვევა, როცა ერთერთმა მოსწავლემ ვერ დაძლია სასწავლო პროგრამა, რის გამოც მობილობის განხორციელება მოუწია.

ლია ღლონტმა განაცხადა, რომ პარალელურ რეჟიმში, სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთანაც თანამშრომლობდა, სადაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების განსხვავებული სქემა წარადგინა. აღნიშნულ სქემასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისაგან სკოლას დადებითი შეფასება ჰქონდა მიღებული, თუმცა 30 ივნისამდე მასწავლებელთა შეფასების ინდიკატორთა დაზუსტება ეთხოვა. საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ კანონმდებლობა კერძო სკოლების მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების განსხვავებული სქემით სარგებლობის საშუალებას იძლეოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ, ავტორიზაციის ექსპერტებს დასკვნის წარმოდგენა სთხოვა. საბჭოს წინაშე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და ნოდარ ანგურიძემ წარადგინეს.

ლიანა კობესაშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლას სამივე სტანდარტში ჰქონდა დარღვევები, თუმცა სკოლის მიერ ნახსენები მემორანდუმი და სამინისტროსგან მიღებული შეთანხმება აღნიშნულ გადაცდომებს თითქმის სრულად აბათილებდა. კერძოდ, განსხვავებული შეფასების სისტემა, საათობრივი ბადიდან გარკვეული საგნების ამოღება, ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლება არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის, იყო საკითხები, რომლებსაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ქალბატონ ირინა ქურდაძის მიერ გაცემული ნებართვის წერილი ითვალისწინებდა, თუმცა, აღნიშნული წერილი საჭიროებდა განახლებას.

საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, ვინაიდან აღნიშნული წერილი 2011 წლით თარიღდებოდა, 2011 წლიდან მოყოლებული, განიცადა თუ არა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმამ არსებითი ცვლილებები. ლია ღლონტმა პასუხად განაცხადა, რომ ვინაიდან სასკოლო სასწავლო გეგმა ქსელში ჩართული სკოლებისთვის ერთიანად იყო განსაზღვრული, სკოლას ცვლილებების შეტანის თავისუფლება შეზღუდული ჰქონდა, შესაბამისად, გეგმას არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, წარსული გამოცდილების საფუძველზე, რატომ არ გაითვალისწინა სკოლამ რეავტორიზაციის რეჟიმით გამოწვეული საჭიროება და არ განახლა ნებართვის წერილი, რომელსაც საუბარი ეხებოდა. მისივე თქმით, სკოლის 2016 წლის ავტორიზაცია ახალი პროცესს გულისხმობდა და შესაბამისად,

განახლებული ნებართვის არქონის შემთხვევაში, სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

ხათუნა ბარაბაძის განცხადებას, საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ სკოლას, 5 წლის მანძილზე, სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებები არ შეუტანია, შესაბამისად საკითხის შედარებით მარტივდებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ ასევე განაცხადა, რომ ვინაიდან სახეზე იყო სკოლის მიერ გერმანული პროგრამის განხორციელების ნებართვა, საბჭოს არ უნდა ედავა თუ რამდენად თავსებადი იქნებოდა პროგრამა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მიუხედავად იმისა, რომ ნებართვის განახლება არ მომხდარა - მისი სუბიექტური აზრით, ერთსა და იმავე სასკოლო სასწავლო გეგმაზე ნებართვის რამდენჯერმე გაცემა კი ნონსენსი იქნებოდა. სკოლის წარმომადგენელმა, ლია ღლონტმა საბჭოს განუცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციაზე სკოლის წარმომადგენლები რამდენჯერმე სტუმრობდნენ ცენტრს.

პასუხად, საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ პრობლემას ქმნიდა არა კერძოდ გერმანული პროგრამის განხორციელების ფაქტი, არამედ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სქემიდან საგნების ამოღება, რაც, თავის მხრივ, სამინისტრის მხრიდან განხილვასა და ნებართვას საჭიროებდა. მისივე თქმით, ეს ყველა საჯარო და კერძო სკოლისთვის საყურადღებო იყო. ვინაიდან სკოლა საბჭოს წინაშე წარმოდგენილი იყო, როგორც ახალი, ავტორიზაციის მაძიებელი სუბიექტი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მთავრობებს შორის შეთანხმება გერმანული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, აუცილებელი იყო მას ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული პროგრამის განხორციელების განახლებული ნებართვაც წარმოედგინა, რომელიც ამ კონცეპტუალურ საკითხებსაც მოიცავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა საბჭოს წინაშე წარმოედგინა დასკვნაში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი გარემოებები.

## 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- 1.1. 2010 წლის 16 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს შორის თანამშრომლობის საფუძველზე გაფორმდა მემორანდუმი (დანართი 1, სამ ფურცლად), რომლის თანახმადაც მხარეები საქართველოში გერმანული სკოლის არსებობის გათვალისწინებით თანხმდებიან, რომ სკოლა ღია იქნებოდა ნებისმიერი მოქალაქეობის მქონე მოსწავლეებისათვის, რომელსაც სურვილი ექნებოდა, რომ ქართული მხარის სასწავლო გეგმასთან შეჯერებული გერმანული სასწავლო გეგმის საფუძველზე მიეღო განათლება გერმანულ ენაზე. ამისათვის მხარეები იხელმძღვანელებენ შემდეგი პრინციპებით: სკოლას უნდა მოეცვა გერმანული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სკოლის ფორმები. გაკვეთილები ჩატარდებოდა უმეტესწილად გერმანულ ენაზე, თიურინგიის ფედერალური მხარის სასწავლო გეგმისა და პროგრამის საფუძველზე. ამავდროულად სკოლას უნდა განეხორციელებინა პროგრამა, რომლის სასწავლო გეგმაშიც

ინტეგრირებული იქნებოდა ეროვნული საგნობრივი პროგრამა, გაკვეთილებს ეროვნული საგნობრივი ჯგუფების შესაბამისი პროგრამის მიხედვით, რამდენადაც შინაარსობრივად არსებობდა ამის აუცილებლობა, ჩაატარებდნენ ქართველი მასწავლებლები ქართულ ენაზე. მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ იყვნენ საქართველო მოქალაქეები, დასწრება იმ გაკვეთილებზე, რომლებიც ქართულ ენაზე ტარდებოდა, ფაკულტატიური იქნებოდა. ამავე მემორანდუმის თანახმად, დაწესებულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გაეცლო სკოლის სტატუსის მოპოვების პროცედურა.

მემორანდუმთან ერთად სკოლამ წარმოადგინა 2011 წლის 10 მაისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი წერილი (დანართი 2, სამ ფურცლად), რომლითაც ის ითხოვდა რომ სამინისტროს გაეთვალისწინებინა, რომ დაწესებულებაში:

ა) სწავლის განხორციელება მოხდებოდა 2 საფეხურზე დაწყებით სკოლაში (I-IV კლასები) და გიმნაზიაში (V-XII კლასები);

ბ) პირველ კლასში მისაღები მოსწავლეთა ასაკი იქნებოდა 6 წელი მინიმუმ 1 აგვისტოსთვის, ხოლო ბავშვებისათვის, რომლებიც მიმდინარე წლის 30 ივნისისათვის სულ მცირე ხუთი წლისანი იქნებოდნენ შესაძლებელი იქნებოდა განაცხადის წარდგენა სკოლაში დაშვებაზე;

გ) შეფასების სისტემა განხორციელდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული სისტემით;

დ) თითოეული საფეხურის ფარგლებში საათების ჯამური რაოდენობა იქნებოდა განსხვავებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადისგან და საათობრივი ბადიდან ამოღებული იქნებოდა საგნები: მრომითი სწავლების, ისტ-ი, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება;

ე) არაქართულენოვანი ბავშვებისთვის ქართული ენის გაკვეთილები იქნებოდა ფაკულტატურული;

ვ) დაწესებულებაში სწავლება არ განხორციელდებოდა გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოებით.

აღნიშნულ წერილზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შემოსული იყო საპასუხო წერილი.

დათარიღებული 2011 წლის 06 ივნისის N12-1-19/6581 წერილი, რომლის თანახმადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განიხილა სკოლის მიმართვა/წერილი და არ იყო წინააღმდეგი სკოლამ განახორციელოს საქმიანობა ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით. წერილს ხელს აწერს მინისტრის მოადგილე ქალბატონი ირინე ქურდაძე (დანართი 3, ერთ ფურცლად).

ამრიგად, თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა სწავლებას ახორციელებდა საზღვარგარეთ გერმანული სკოლების ცენტრალური სამსართველოს მიერ ცენტრალური ევროპის სკოლებისათვის სავალდებულო თიურინგიის მხარის სასკოლო კურიკულუმის მიხედვით. მე-10-12 კლასებისათვის

მოქმედებდა საზღვარგარეთ სასკოლო საქმიანობისთვის ფედერალური და სამხარეო კომისიის მიერ განსაზღვრული სავალადებულო კურიკულუმი.

ამ ეტაპზე დაწესებულებაში ქართული ეროვნული სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული საგნებიდან ისწავლებოდა მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა და ქართული როგორც მეორე ენა არაქართველი მოსწავლეებისათვის ფაკულტატურული სახით.

- 1.2. სასკოლო გეგმა საზღვარგარეთ გერმანული სკოლების ცენტრალური სამართველოს მიერ ცენტრალური ევროპის სკოლებისათვის სავალდებულო თიურინგიის მხარის სასკოლო კურიკულუმის მიხედვით იყო გაწერილი.

დაწესებულებამ წარმოადგინა საგნობრივი გეგმები გერმანულ ენაზე, რის გამოც ვერ მოხერხდა შეფასება თუ რამდენად პასუხობდა სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და რამდენად აძლევდა საშუალებას მათ, შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

- 1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. შეფასების სისტემა დაწესებულებაში იყო 6 ქულიანი და არა 10 ქულიანი, არ იყო სამკომპონენტიანი (შემაჯამებელი დავალება, საკლასო დავალება და საშინაო დავალება), მოქმედებდა ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნების გაანგარიშების განსხვავებული წესი. დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა საკუთარი შეფასების სისტემის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემაზე კონვერტირების წესი. ნებართვა შეფასების განსხვავებულ სისტემაზე და კონვერტირებაზე დასტურდებოდა ქალბატონ ირინე ქურდაძის წერილით 12-1-19/6581 (დანართი 1).

- 1.6. თიურინგიის მხარის სასწავლო გეგმის რეგულარულ შემოწმებასა და განახლებას ახორციელებდა თვითონ თიურინგიის ფედერაციული მხარე. კერძოდ მასწავლებელთა გადამზადების, კურიკულუმის განვითარებისა და მედიის ინსტიტუტი 2 წელიწადში ერთხელ ატარებდა სკოლის მონიტორინგს, მათ შორის მშობლების და მასწავლებლების გამოკითხვას, მონიტორინგის შედეგების ანალიზის და შეფასების შემდეგ დაწესებულება ღებულობდა უკუკავშირს, რჩევებს. საჭიროების შემთხვევაში სამოქმედო გეგმაში ხდებოდა ცვლილებების შეტანა. 6 წელიწადში ერთხელ ხდებოდა სკოლის ინსპექტირება.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:
- 2.1. დ) სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა ლაბორატორიის აღჭურვილობა. საგულისხმოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ დადებული მემორანდუმის პირველი პუნქტის თანახმად სკოლა გაიხსნა პირველი კლასების მიღებით 2010/11 სასწავლო წელს და ყოველ მომდევნო წელს დაიმატებდა ახალ კლასს და 12 სასწავლო წლის გავლის შემდეგ მოსწავლეები მიიღებდნენ საშუალო განათლების ატესტატს. ამჟამად სკოლაში უმაღლესი კლასი იყო მე-6 კლასი და ავტორიზაციის პროცესის გავლის შემდეგ დაიმატებდა მე-7 კლასს (იხ. დანართი 1. მემორანდუმი).
- სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის შეკვეთილი ჰქონდა ლაბორატორიის აღჭურვილობა. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ლაბორატორიის აღჭურვილობის თანხას გადაიხდიდა მას შემდეგ, რაც აღნიშნული ინვენტარი ჩამოვიდოდა საქართველოში და დადასტურდებოდა მათი ვარგისიანობა.
- 2.3. სკოლამ წარმომადგინა გერმანულენოვანი I-VII კლასების სახელმძღვანელოები, გარდა ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის სახელმძღვანელოებისა, რომელიც მე-7 კლასებისთვის იყო განკუთვნილი. მე-8-მე-12 კლასების სახელმძღვანელობი სკოლას არ წარმოუდგენია. სახელმძღვანელოების არქონას სკოლა ხსნიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ დადებული მემორანდუმით, რომლის პირველი პუნქტის თანახმად სკოლა გაიხსნა პირველი კლასების მიღებით 2010/11 სასწავლო წელს და ყოველ მომდევნო წელს დაიმატებდა ახალ კლასს. 12 სასწავლო წლის გავლის შემდეგ მოსწავლეები მიიღებენ საშუალო განათლების ატესტატს. ამჟამად სკოლაში უმაღლესი კლასი იყო მე-6 კლასი და ავტორიზაციის პროცესის გავლის შემდეგ დაიმატებდა მე-7 კლასს (იხ. დანართი 1. მემორანდუმი), ამიტომ დაწესებულება შემდგომში შეიძენდა მე-8-მე-12 კლასების სახელმძღვანელოებს.
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები საჭიროებდა საბიბლიოთეკო წესით დამუშავებას, კერძოდ: საინვენტარო დანომვრასა და სისტემატიზაციას. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების მხოლოდ მცირე ნაწილზე იყო დასმული შეჭდები.
- 2.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლის შენობაში სართულებს შორის არ იყო გაკეთებული პანდუსი. პანდუსი გაკეთებული იყო მხოლოდ ქუჩიდან პირველ სართულზე მოსახვედრად. შესაბამისად, ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლის არსების შემთხვევაში, სკოლას მას პირველ სართულზე გამოუყოფდა საკლასო ოთახს. რაც შეეხება ადაპტირებულ სველ წერტილს, იგი განთავსებული იყო შენობის მე-3 სართულზე.

- 2.5. სკოლას ცალკე კომპიუტერული კლასი არ გააჩნდა. სკოლას ცალკე ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება სასკოლო გეგმაში არ ჰქონდა, მისი სწავლება ინტეგრირებული იყო სხვადასხვა საგნებში. სკოლას ჰქონდა 10 ლეპტოპი, მაგრამ წარმოადგინა 8 ლეპტოპის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით 2 ლეპტოპის შესყიდვის დოკუმენტები ბუღალტერს წაღებული ჰქონდა სკოლის მმართველობის ორგანოსთან - სკოლის გამგეობასთან.
- 2.6. სკოლას არ ჰყავდა მედდა ან ექიმი. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სკოლის ყველა პედაგოგმა გაიარა ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ და ყველა მასწავლებელმა იცოდა თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ექსტრემალურ სიტუაციაში. ტრენინგი განახორციელა „საქართველოს სამარიტელთა კავშირმა“.  
 დაწესებულებას ჰქონდა ერთი მირითადი შესასვლელი, რომელზეც დაყენებული იყო ორი კამერა, გარდა ამისა სკოლას ჰქონდა ორი შიდა კამერა. ერთი მათგანი დამონტაჟებული იყო პირველ სართულზე, შესასვლელთან, დერეფანში, ხოლო მეორე კი სკოლის შიდა ეზოს საკონტროლოდ. დანარჩენ სართულებზე შიდა კამერები დამონტაჟებული არ იყო. კამერების ტექნიკური დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მათი პარამეტრები არ შეესაბამებოდა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეტვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეტვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებში განსაზღვრულ პარამეტრებს.
- 2.9. დაწესებულებაში მიმდინარეობდა შემოსული კორესპოდენციის, გასული კორესპოდენციის, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების და სკოლის გამგეობის ბრძანებების აღრიცხვა. საგულისხმოა, რომ უურნალების წარმოება დაწებული იყო მიმდინარე წლის თებერვლიდან და მანამდე კორესპოდენციათა აღრიცხვა არ მიმდინარეობდა. არ ჰქონდათ სარეგისტრაციო უურნალები. დოკმენტებისთვის ნომრების მინიჭება ხდებოდა ჩვეულებრივ ფურცლებზე, რომლებიც დევს საქაღალდეში.

### 3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

- 3.1. ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი ადამიანური რესურსის რაოდენობა არაა საკმარისი ერთდროულად სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად. გასათვალისწინებელია ისიც, (როგორც ინტერვიუირებით გაირკვა) რომ სკოლის გერმანულებოვანი მასწავლებლებით უზრუნველყოფას ახდენს გერმანიის მხარე ეტაპობრივად, საჭიროებებიდან გამომდინარე.
- 3.2. ინგლისური ენის მასწავლებელს, ქალბატონი ნატალი დოლიძეს (ჩამნაცვლებელი პედაგოგი - მუშაობდა მიმდინარე წლის მარტიდან. სექტემბერში

სკოლაში ბრუნდებოდა მოქმედი მასწავლებლი), მას არ ჰქონდა უცხო ენების მასწავლებლის კვალიფიკაცია და არ ჰქონდა მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება. მისი შერჩევა განხორციელდა კონკურსის წესით 2015 წლის მარტში. უცხოენოვან მასწავლებლებს სკოლაში აგზავნიდა საზღვარგარეთ გერმანული სკოლების ცენტრალური სამმართველო გერმანიაში. ამ მასწავლებლებიდან, ფაბიან შტირჰოფის განათლების აღიარების დოკუმენტი დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში, შტეფან გოლკოვსკის და ვიქტორია მაქსიმენკას დოკუმენტები ვიზიტის პერიოდში დახარვეზდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. შტეფან გოლკოვსკის განათლების აღიარების დოკუმენტაცია ასევე არ იქნა წარმოდგენილ.

- 3.3. სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა რაიმე დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა დადგენილიყო თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით დოკუმენტი ინახებოდა სკოლის გამგეობასთან, რომელსაც ვიზიტის პერიოდისთვის ვერ წარმოადგენდა.
- 3.5. სკოლას შემუშავებული ჰქონდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ალტერნატიული სქემა, რომელიც ელექტრონული ფოსტის საშუალებით გადაგზავნილი იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, თხოვნით დადგინდეს თავსებადობა „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან“, რაზედაც ცენტრი აძლევდა რეკომენდაციებს და ურჩევს სკოლას, რომ კიდევ ერთხელ გადაეხედათ საკუთარი „სქემისთვის“, რათა დადგენილიყო თავსებადობა მთავრობის მიერ დამტკიცებულ „სქემას“ შორის.

სკოლის წარმომადგენელმა, ლია ღლონტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლაში არ ისწავლებოდა რიგი საგნებისა, როგორიც იყო ისტ, საგზაო ნიშნები, თავდაცვა და უსაფრთხოება, სამოქალაქო განათლება, თუმცა 12 წლის განმავლობაში ისწავლებოდა ეთიკა, რომელიც ფარავდა სამოქალაქო განათლების თემატიკას. სხვა საგნებს რაც შეეხება, მათემატიკის სწავლის შედეგები გერმანული ანალოგის იდეტრნტური იყო, დანარჩენ საგნებში კი მსგავსი იყო გერმანულისა, თუმცა განსხვავდებოდა ფორმულირების კუთხით. განსაკუთრებით მაღალი იყო ენის სწავლების სტანდარტი და სამიზნე დონეს C1 წარმადგენდა. საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების საკითხები, დაწყებითი კლასებიდანვე, ინტეგრირებული იყო სხვა საგნების თემატიკაში.

შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სკოლაში მოქმედი 6 ქულიანი შეფასების სისტემის 10 ქულიანთან შესაბამისობის დადგენის წესი, რომელთან დაკავშირებითაც მინისტრის მოადგილის თანხმობა გააჩნდა. ხათუნა ბარაბაძემ კვლავ აღნიშნა, რომ თანხმობა წინა ავტორიზაციის პერიოდს ეხებოდა და არა ახალს, თუმცა, პასუხად კვლავ გაუდერდა, რომ 2011 წლის შემდეგ სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების სისტემაში არაფერი შეცვლილა.



ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის ინტეგრირებულად წარმოდგენასთან დაკავშირებით, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ყველა საგნისთვის გამჭოლ კომპეტენციას წარმოადგენდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საგნობრივ ბადეში საგანი მაინც უნდა არსებულიყო. პასუხად, ექსპერტმა განაცხადა, რომ თუკი ნებართვის წერილს გავითვალისწინებდით, დაწესებულებას აღნიშნულის უფლება ჰქონდა.

დასკვნიდან ძირითადი გარემოებების წარმოდგენის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა აქცენტი ძირითად შეუსაბამობებზე გაეკეთებინა და შემდგომ სკოლის წარმომადგენლის კომენტარი მოესმინათ.

ხათუნა ბარაბაძემ ექსპერტს მიმართა კითხვით, 5 წლის ასაკის ბავშვების ჩარიცხვასთან დაკავშირებით ხომ არ იყო სკოლაში მოქმედი კანონმდებლობიდან რაიმე სახის გადაცდომა. კითხვას სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა და განაცხადა, რომ აღნიშნული რეგულაცია სკოლაში მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდებოდა და არა გერმანიის მოქალაქეთა შვილებზე - მისივე თქმით, სკოლის მთავარ ინტერესს სწორედ გერმანიის მოქალაქე მოსწავლეები წარმოადგენდნენ. პასუხად ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული წინა საკითხად განხილული სკოლის ძირითად კონტინგენტსაც სწორედ უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენდნენ, თუმცა მათთან აღნიშნულ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია. ლია ღლონტის განცხადებით, სკოლაში მხოლოდ 2 მოსწავლე იყო ჩარიცხული აღნიშნული რეგულაციის გვერდის ავლით. მისივე თქმით, სიტუაციის ყველაზე დიდი უხერხულობა სწორედ ის იყო, რომ სკოლას ორმაგი - გერმანული და ქართული სტანდარტებით ოპერირება უწევდა.

განხილვის დასასრულს ლია ღლონტმა აღნიშნა, რომ სკოლას დაუმტკიცდა ახალი მიწის ნაკვეთი, რომელზეც ამჟამად უკვე მშენებლობა მიმდინარეობდა. ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემდეგ, სკოლა ყოველწლიურად კონტინგენტის ზრდას ელოდა, გერმანული მხარე კი ინვენტარითა და შესაბამისი ადამიანური რესურსით მოამარავებდა.

16:00 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

საბჭოს სხდომა განახლდა 16:10 საათზე.



საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5;  
წინააღმდეგი - 3;

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404378874) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.


საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა რეკომენდაციით, რომ გერმანულენოვანი პროგრამა ქართულ ენაზეც თარგმნილიყო, რაც სამომავლოდ როგორც მოსწავლეთა მშობლებს, ასევე, ცენტრის მიერ ვიზიტით წარგზავნილ ექსპერტებსაც გაუადვილებდა მის გაგებას და იქნებოდა ინტერკულტურული გარემოს ხელშეწყობის გამოხატულება.

საბჭოს წინაშე კითხვის დასმა და აზრის გამოთქმა ითხოვა შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოადგილემ, ნინო მირიანაშვილმა. მან სკოლის წარმომადგენლებს საკითხის დადებითად გადაწყვეტა მიულოცა და განათლების სისტემაში ახალი სკოლების შემოსვლით. ნინო მირიანაშვილი დაინტერესდა თუ რატომ იქნა მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილება უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით, როცა, მისი აზრით, საკითხი შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის ანალოგიური იყო და სკოლისთვის პროგრამულ ნაწილში ანალოგიურ დაბრკოლებებს შეიცავდა. მისივე თქმით, ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირს პროგრამა არ წარმოუდგენია ქართულ ენაზე, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახერხა მისი გადამოწმება და შესაბამისად, საფუძვლიანი იქნებოდა ეჭვი იმის შესახებ, რომ პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან სრულ აცდენაში ყოფილიყო.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხად, საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ განაცხადა, რომ შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლისგან განსხვავებით, ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირს წარმოდგენილი ჰქონდა სამთავრობო ხელშეკრულება, რომელიც კონკრეტულად აღნიშნული სკოლის ფუნქციონირებას ეხებოდა, შპს ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება კი ზოგადი ხასიათის იყო და ქვეყნებს შორის კულტურისა და განათლების საკითხებში თანამშრომლობას ეხებოდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:25 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
ირინა ხანთაძე



მდივანი  
თამარ ფხალაძე

